18/07/2025

MES 7 25 0000886111

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 10 ივლისს 12:00 ს აათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Topic: პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა
Time: July. 10, 2025 16:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/87835920919?pwd=WcwLXgMZGbyZZuTGqh9VpU3TT7lbye.1
Meeting ID: 878 3592 0919
Passcode: 469890

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრები:

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარე);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს მდივანი);

მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
ნათია გვირჯიშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

დაწესებულების წარმომადგენლები

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი

დავით მაზმიშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
მარიამ კვანჭიანი - ადმინისტრატორი
ქრისტინე ხურციძე - ხარისხის მართვის ასისტენტ-მენეჯერი
მარიამ კახურაშვილი - საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული განვითარებისა და სტუდენტურ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი

შპს მსოფლიო განათლების აკადემია

მარია რომანოვა - დირექტორი
ლუდვიგ ხუხუნაიშვილი - „Front End დეველოპმენტი - React“ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
ნათია კონცელიძე - პროფორიენტაციის, კარიერისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
დემური გაგუა - სასწავლო პროცესის მენეჯერი
ხატია აფრასიძე - ადამიანური რესურსების მენეჯერი

სსიპ - კოლეჯი „თეთნულდი“

ირმა ჯაფარიძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
თეონა ჯაფარიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
მაკა ჩხვიმიანი - ხარისხის მართვის სპეციალისტი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგ ის ექსპერტები:

ირმა ღარიბაშვილი
ზურაბ მესხიძე
ეკატერინე ბალარჯიშვილი
რამაზ ტყემალაძე

თემურ ჯეჯელია

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:05 საათზე

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება.
რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის „ხარაჩოს უსაფრთხოდ აწყობა, დემონტაჟი და ინსპექტირება“ /02019/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. შპს მსოფლიო განათლების აკადემიის „Front End დეველოპმენტი - React“ /02310/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. სსიპ - კოლეჯ „თეთნულდის“ „ხე-ტყის დამზადება“ /02337/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. სსიპ - კოლეჯ „თეთნულდის“ „ტყის დაცვისა და ტექნიკური სამუშაოების წარმოება“ /02336/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. სსიპ - კოლეჯ „თეთნულდის“ „სახერხი ჩარხის მართვა“ /02335/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. სსიპ - კოლეჯ „თეთნულდის“ „ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი“ /02338/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით.

1. შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის „ხარაჩოს უსაფრთხოდ აწყობა, დემონტაჟი და ინსპექტირება“ /02019/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა, მან განაცხადა, რომ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2025 წლის 21 მაისის №461210 ოქმის, „შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის „ხარაჩოს ინსპექტირება, აწყობა და დემონტაჟის მართვა“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 21 მაისის №555495 გადაწყვეტილების საფუძველზე, შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრმა 2025 წლის 3 ივნისს ელექტრონული სისტემით (qms.eqe.ge) წარმოადგინა განახლებული განაცხადი და თანდართული განახლებული პროგრამა (ID 02019). სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 5 ივნისის №629168 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ირმა ღარიბაშვილმა შეისწავლეს წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამა.

დარგის ექსპერტმა განაცხადა, ვინაიდან ვიზიტის დროს გამოვლენილი ხარვეზები და გაცემული რეკომენდაციები პირველ სტანდარტს ეხებოდა, მეორე და მესამე სტანდარტი არ იყო დარღვეული, ისაუბრებდა პირველ სტანდარტთან მიმართებაში. მან დასძინა, რომ შესწავლილ იქნა ელ. სისტემაში წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამა, უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ვიზიტის დროს გამოვლენილი ხარვეზები და გაითვალისწინა დარგის ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციები.

პირველი ვიზიტის დროს გამოვლენილი ხარვეზები

ქვესტანდარტი 1.2 პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს

პროგრამაში ტექნიკური ხარვეზის გამო, ვერ შეფასდა პროგრამის შინაარსი, ვინაიდან პროგრამაში წარმოდგენილია მხოლოდ მეორე კვირის თემატიკა. პროგრამის შინაარსი უკავშირდება პროფესიულ

მომზადებას, თუმცა ეს უნდა აისახოს პროგრამაში სრულყოფილად. ასევე პროფესიული მომზადების პროგრამის თემატიკა უნდა მოიცავდეს ხარაჩოს ტექნიკური დოკუმენტაციის შესწავლას, რათა კურსდამთავრებულმა შეძლოს სამუშაოების შესრულების სწორი შეფასება. თემატიკა გაწერილი უნდა იყოს დაწესებულების მიერ განსაზღვრული ყოველი კვირის მიხედვით - **ხარვეზი გამოსწორებულია.**

ქვესტანდარტი 1.7. პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია.

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის პროფესიული მომზადების პროგრამის „ხარაჩოს ინსპექტირება, აწყობა და დემონტაჟის მართვა“ ხანგრძლივობად განსაზღვრულია 2 კვირა. პროგრამა

მოიცავს 3 სხვადასხვა სახის ხარაჩოს ინსპექტირების, აწყობისა და დემონტაჟის მართვის საკითხებს.

პროგრამაში განსაზღვრული ხანგრძლივობა არ არის საკმარისი მოცულობითი თემატიკების შესასწავლად, შესაბამისად, აღნიშნული საკითხების შესწავლისათვის მიზანშეწონილია სწავლების ხანგრძლივობის გაზრდა მინიმუმ 6 კვირამდე **- ხარვეზი გამოსწორებულია.**

პირველი ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციები

ქვესტანდარტი 1.6. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

მიზანშეწონილია პირველი სწავლის შედეგის “სახელმძღვანელო დოკუმენტაციისა და ტერმინების განმარტება, შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნების განსაზღვრა” რედაქტირება - **რეკომენდაცია გათვალისწინებულია**

ქვესტანდარტი 1.7. პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია

„ხარაჩოს ინსპექტირება, აწყობა და დემონტაჟის მართვის“ პროფესიული მომზადების პროგრამის აღწერითი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს ჩანაწერი მსმენელთა დამოუკიდებელი სწავლისთვის გამოყოფილი საათების შესახებ - **რეკომენდაცია გათვალისწინებულია**

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 6 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 26, განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. 14ა.

დარგის ექსპერტმა დააფიქსირა თავისი პოზიცია და განაცხადა, რომ წარმოდგენილ პროგრამაში შეტანილი ცვლილებები, ხანგრძლივობის გაზრდა, რეკომენდაციების გათვალისწინება იძლევა იმის საფუძველს, რომ პროგრამა განხორციელდება წარმატებულად.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ ჯენჭისყრაზე დააყენა შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის „ხარაჩოს უსაფრთხოდ აწყობა, დემონტაჟი და ინსპექტირება“ /02019/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრს (ს/კ: 406290954) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ხარაჩოს უსაფრთხოდ აწყობა, დემონტაჟი და ინსპექტირება /02019/ **(დანართი 1).**

2. შპს მსოფლიო განათლების აკადემიის „Front End დეველოპმენტი – React“ /02310/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ზურაბ მესხიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 21 მაისის №554710 ბრძანების საფუძველზე დარგის ექსპერტმა ზურაბ მესხიძემ და ცენტრის წარმომადგენელმა, მაია აბდალაძემ 2025 წლის 6 ივნისს განახორციელა ვიზიტი შპს მსოფლიო განათლების აკადემიაში, (მისამართზე: ბაღდათი, რუსთაველის ქ. №24-ში, სადაც განთავსებულია პროგრამისთვის სასწავლო გარემო. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის, ,,Front End დეველოპმენტი – React“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა შემდეგი რეკომენდაციები.
ქვესტანდარტი 1.6 – პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

რეკომენდებულია სწავლის შედეგების ფორმულირება გასწორდეს, სწავლის შედეგების აღსაწერად გამოყენებულ იქნას ტაქსონომიები და მათი შესაბამისი აქტიური ზმნები აწმყო დროში და ასევე, სწავლის შედეგები დაინომროს.

ქვესტანდარტი 1.7 - პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია

რეკომენდებულია სწავლის შედეგები გადანაწილდეს სწორად ყველა კვირის მიხედვით, რაც შეიძლება მოესწროს კვირეული დატვირთვის ფარგლებში.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 13 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 30, განხორციელების ადგილი - ქ. ბაღდათი, რუსთაველის ქ. №24.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი - პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. დოკუმენტის თანახმად, აკადემიის მიერ 2023-2024 წლებში ჩატარდა ორი კვლევა სახელწოდებით "ჩემი პროფესია" და "ჩემი მომავალი პროფესია", რომელშიც მონაწილეობას იღებდა ყველა დაინტერესებული მხარე - აბიტურიენტები, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლები - პოტენციური დამსაქმებლები. კვლევები მოიცავდა, როგორც ღია, ასევე დახურულ კითხვებს. შედეგებმა ნათლად აჩვენა, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიები ერთ-ერთი წამყვანი სფეროა და ამ მიმართულების პროფესიული პროგრამირების დამატების საჭიროება იკვეთებოდა. პროფესიული მომზადების პროგრამის დასრულების შემდგომ მსმენელებს ეძლევათ მრავალმხრივი დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობები, როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში, დისტანციური სამუშაო საშუალებას იძლევა იმუშაონ გლობალურ ბაზარზე ადგილმდებარეობის მიუხედავად, განახორციელონ ფრილანსინგი - იმუშაონ რეალურ პროექტებზე დამოუკიდებლად, სხვადასხვა პლატფორმის მეშვეობით. პროგრამა ხორციელდება სრულად დისტანციურად, პლატფორმის საშუალებით. დისტანციური სწავლების გამართულობისათვის აკადემიას აქვს მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული რეგულაცია, ელექტრონული პორტალი და ყველა საჭირო მატერიალური რესურსი (კომპიუტერები, მაღალი ხარისხის ვიდეო-აუდიო ჩამწერი მოწყობილობები), რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიან სწავლებას.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი და დასძინა, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი. მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

პროფესიული მომზადების პროგრამაზე - დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, სასწავლო პროცესის ხელმისაწვდომობისთვის სწავლება განხორციელდება დისტანციურად, სინქრონული და/ან ასინქრონული კომუნიკაციის ფორმით. ამ მიზნებისთვის აკადემიას აქვს საჭირო მატერიალური რესურსი და სასწავლო პორტალი, რომელზეც შესაძლებელია სინქრონული და ასინქრონული კომუნიკაცია მსმენელებთან, პლატფორმაზე განთავსებული იქნება დავალებები, ქვიზები, მზა სასწავლო ვიდეოები, სასწავლო რესურსები და წამახალისებელი ლიდერბორდი, მსმენელს ექნება განვლილ მასალაზე მუდმივი წვდომის საშუალება. საჭიროების შემთხვევაში აკადემია

სრულად უზრუნველყოფს მსმენელის პერსონალურ კომპიუტერზე იმ პროგრამების ინსტალაცია/გამართვას, რომლებიც გათვალისწინებულია პროფესიული მომზადების პროგრამის "Front End დეველოპმენტი - React" სწავლებისთვის.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების პროგრამაში ასახული ინფორმაციით.
მეორე სტანდარტთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწალის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით (2 განმახორციელებელი პირი), რაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინტერვიუირებით. პროგრამის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით. სასწავლო რესურსი წარმოდგენილია ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შესაბამისობის შესახებ საქართველოს მთავრობის 370-ე დადგენილების - ტექნიკურ რეგლამენტთან „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ იურიდიული პირი აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი წესით და კითხვარებით.

რაც შეეხება: 3.3; 3.5; 3.6 და 3.7 ქვესტანდარტებს, არ ექვემდებარება შეფასებას, გამოცდილების არარსებობის გამო.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მსოფლიო განათლების აკადემიის „Front End დეველოპმენტი – React“ /02310/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს მსოფლიო განათლების აკადემიას (ს/კ: 425060827) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - Front End დეველოპმენტი – React /02310/ **(დანართი 2).**

3. სსიპ - კოლეჯ „თეთნულდის“ „ხე-ტყის დამზადება“ /02337/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. სსიპ - კოლეჯ „თეთნულდის“ „ტყის დაცვისა და ტექნიკური სამუშაოების წარმოება“ /02336/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.

საკითხები ერთიანი პრეზენტაციის სახით საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ეკატერინე ბალარჯიშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 25 ივნისის №751065 და №751074 ბრძანებების საფუძველზე დარგის ექსპერტმა ეკატერინე ბალარჯიშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა, მაია აბდალაძემ 2025 წლის 3 და 4 ივლისს განახორციელეს ვიზიტი სსიპ კოლეჯ ,,თეთნულდში“, მისამართზე: მესტია, ე. ფარჯიანის ქ. №25-ში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო გარემო.

დაწესებულებას ცენტრში წარმოდგენილი ჰქონდა ორი პროფესიული მომზადების პროგრამა „ხე-ტყის დამზადება“ და „ტყის დაცვისა და ტექნიკური სამუშაოების წარმოება“.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაცია ორივე პროგრამასთან მიმართბაში.

პროფესიული მომზადების პროგრამა „ხე-ტყის დამზადება“

ქვესტანდარტი 1.9 - პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას

დაწესებულებას პროგრამის დოკუმენტში, პარტნიორის ველში პარტნიორი არ ჰქონდა მითითებული, თუმცა სასწავლო კვირეებში, სასწავლო გარემოს ველში ეწერა შპს ,,თანა“. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ხე-ტყის დამზადება“ პარტნიორია - სსიპ სატყეო სააგენტო და მასთან გაფორმებულია ხელშეკრულებაც, რისი შესწავლაც ადგილზე მოხდა. რეკომენდებულია ჩაიწეროს პროგრამის დოკუმენტში პარტნიორის სახელწოდება, ასევე სასწავლო კვირეებში სასწავლო გარემოს ველში მითითებული იქნას პარტნიორის სახელწოდება.

ქვესტანდარტი 1.9 - პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას

დაწესებულებას პროგრამის დოკუმენტის ზოგად ინფორმაციაში, პარტნიორის ველში მითითებული ჰქონდა პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის პარტნიორები: ი/მ ს. ჭ. და შპს ,,თანა“, თუმცა ყოველკვირეულ სასწავლო გარემოს ველში მითითებული ჰქონდათ მხოლოდ შპს ,,თანა“. ადგილზე ვიზიტის დროს დადგინდა, რომ ამ პროგრამის პარტნიორი ორგანიზაცია, სადაც განხორციელდება სწავლების პრაქტიკული კომპონენტი არის შპს ,,თანა“, ადგილზე პარტნიორთან გაფორმებული ხელშეკრულებაც წარმოადგინა დაწესებულებამ.

რეკომენდებულია პროგრამის დოკუმენტის პარტნიორის ველიდან ამოღებული იქნას მეორე პარტნიორი ი/მ ს. ჭ.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ „ხე-ტყის დამზადება“ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 8 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, განხორციელების ადგილი: მესტია, ე. ფარჯიანის ქ. №25.

„ტყის დაცვისა და ტექნიკური სამუშაოების წარმოება“ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, განხორციელების ადგილი: მესტია, ე. ფარჯიანის ქ. №25.

პროგრამების საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“ ბოლო 5 წლის განმავლობაში, ყოველწლიურად საშუალოდ ახორციელებს 150 000 კბ.მ ხე-ტყის დამზადებას. ამას ემატება წლიურად საშუალოდ დაახლოებით 250 000 - 300 000 კბ.მ საშეშე ხე-ტყის დამზადება და ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელების მიერ დასამზადებელი მოცულობები. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ნაწილი სამხერხაოების მიერ შექმნილი პირველადი დამუშავების პროდუქტები დაბალხარისხიანია. საქართველოში ლიცენზირებული სამხერხაოების რაოდენობა დაახლოებით 800-მდეა. აქედან მოქმედია დაახლოებით 550. ხე-ტყის ბაზრის კვლევის ანგარიშით ასევე ირკვევა, რომ „ახალი ფირმებისა და საექსპორტო ხაზების განვითარებას დამატებითი ღირებულების სექტორებში ხელს უშლის პროფესიონალი სამუშაო ძალის არ არსებობა“. გამომდინარე აქედან, დღეს საქართველოში არსებულ სამხერხაოებში დასაქმებულ ადამიანებს სჭირდებათ კვალიფიციური კადრებით შევსება. შესაბამისად, დგას პროფესიული მომზადების პროგრამების შემუშავების საჭიროება. გარდა ზემო აღნიშნულისა, წარმოდგენილ დოკუმენტში ასახულია საქართვლოში არსებული ის საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, რომლებიც არეგულირებენ საქართველოს ტყეების მართვის სისტემას, სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების სწორად დაგეგმვასა და განხორციელებას, მათ შორის ხე-ტყის დამზადებას.

2023-2024 წლების კვლევის მიხედვით გამოკითხულთა 62% აცხადებს, რომ რეგიონში დიდ გამოწვევად რჩება სატყეო საქმის სპეციალისტების საჭიროება. კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ კონკრეტული პროგრამების კურსდამთავრებულებს კარგი დასაქმების მაჩვენებელი აქვთ, კონკრეტული პროგრამა სრულად ასახავს ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებს, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს დასაქმების შესაძლებლობას. მითუმეტეს, რომ აღნიშნული პროგრამები მოიცავს თანამედროვე სატყეო ტექნოლოგიების, ეკოლოგიის, ტყის აღდგენისა და ეკოსისტემების მართვის საკითხებს.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი და აღნიშნა, რომ პროგრამების სახელწოდება შეესაბამება პროგრამების შინაარს და არ არის შეცდომაში შემყვანი, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

პროფესიული მომზადების პროგრამებზე - დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება. სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა -გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, პროგრამების ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამები ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით, გასაუბრებით პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების პროგრამებში ასახული ინფორმაციით.
პროგრამები უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით, ორივე პროგრამაზე დაწესებულებას განაცხადის მიხედვით წარმოდგენილი ჰქონდა ერთი განმახორციელებელი პირის პირადი საქმე. ვიზიტის ფარგლებში ადგილზე წარმოდგენილი იქნა მეორე განმახორციელებლის დოკუმენტაცია. შესწავლილ იქნა წარმოდგენილი პირის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე განხორციელდა გასაუბრება აღნიშნულ პირებთან. პროგრამის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით, ასევე, პარტნიორი კომპანიების ინფრასტრუქტურით.
სასწავ-ლო რესურსი წარმოდგენილია ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტუდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. მესამე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ სსიპ - კოლეჯი „თეთნულდი“ არის ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებს, შესაბამისად დაწესებულება აცნობიერებს საკუთარ როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურების შესახებ, დაწესებულება უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას, თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან. იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი წესით და კითხვარებით. კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას, ვიზიტის დროს გადამოწმდა https://e-vet.emis.ge/ ელ. სისტემა. აღნიშნული ელ. სისტემის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ყველა აუცილებელი ინფორმაცია დაწესებულებას ასახული აქვს სისტემაში. სერტიფიკატების გაცემა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმის შესაბამისად. კოლეჯს დღემდე გაცემული აქვს 229 სერტიფიკატი დანართთან ერთად. ამ ეტაპზე აქტიური მსმენელები არ ყავთ.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ ჯენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „თეთნულდის“ „ხე-ტყის დამზადება“ /02337/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრისშედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „თეთნულდს“ (ს/კ: 235891512) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ხე-ტყის დამზადება /02337/ **(დანართი 3).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „თეთნულდის“ „ტყის დაცვისა და ტექნიკური სამუშაოების წარმოება“ /02336/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „თეთნულდს“ (ს/კ: 235891512) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ტყის დაცვისა და ტექნიკური სამუშაოების წარმოება /02336/ **(დანართი 4).**

5. სსიპ - კოლეჯ „თეთნულდის“ „სახერხი ჩარხის მართვა“ /02335/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა რამაზ ტყემალაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 25 ივნისის №751094 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა რამაზ ტყემალაძემ შეისწავლეს სსიპ - კოლეჯი ,,თეთნულდის“ პროფესიული მომზადების პროგრამის „სახერხი ჩარხის მართვა“ (ID 02335) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2025 წლის 4 ივლისს განახორციელეს ვიზიტი სსიპ - კოლეჯ „თეთნულდში“, მისამართზე, მესტია, ე. ფარჯიანის ქ № 25.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა ერთი რეკომენდაცია.
ქვესტანდარტი 1.9 – პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას
დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის ელ. სისტემაში წარმოდგენილი ჰქონდა ხელშეკრულება ი/მ ს. ჭ-სთან, თუმცა ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა ხელშეკრულება შპს „თანასთან“, სადაც განხორციელდება პრაქტიკული კომპონენტი. რეკომენდებულია პროგრამის დოკუმენტში ჩანაცვლდეს პარტნიორი ორგანიზაციის სახელწოდება.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, განხორციელების ადგილი - მესტია, ე. ფარჯიანის ქ № 25.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ხე-ტყის ბაზრის კვლევის ანგარიშით ირკვევა, რომ საქართველოს დაახლოებით 2.8 მილიონი ჰექტარის ფართობის ტყე გააჩნია. დაახლოებით 0.5 მილიონ ჰექტარზე საქართველოს დაცული ტერიტორიების ქსელია განთავსებული, ხე-ტყის ჭრა კი აკრძალულია კიდევ დამატებით 1.1 მილიონ ჰექტარზე.
საქართველოს პირველადი გადამუშავების მრეწველობა ორიენტირებულია დაბალი ფასის და ხარისხის ბაზრებზე და შედარებით დაბალ დამატებით ღირებულებას ქმნის. დახერხილი ხე-ტყე ძირითადად მოიხმარება სამშენებლო ხარაჩოებისათვის, სადაც ძირითადად მიეწოდება წიწვოვანი დახერხილი ხე-ტყე. გასათვალისწინებელია, რომ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო ბოლო 5 წლის განმავლობაში, ყოველწლიურად საშუალოდ ახორციელებს 150 000 კბ.მ ხე-ტყის დამზადებას. ამას ემატება წლიურად საშუალოდ დაახლოებით 250 000 - 300 000 კბ.მ საშეშე ხე-ტყის დამზადება და ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელების მიერ დასამზადებელი მოცულობები. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ნაწილი სამხერხაოების მიერ შექმნილი პირველადი დამუშავების პროდუქტები დაბალხარისხიანია. საქართველოში ლიცენზირებული სამხერხაოების რაოდენობა დაახლოებით 800-მდეა. აქედან მოქმედია დაახლოებით 550. ხე-ტყის ბაზრის კვლევის ანგარიშით ასევე ირკვევა, რომ „ახალი ფირმებისა და საექსპორტო ხაზების განვითარებას დამატებითი ღირებულების სექტორებში ხელს უშლის პროფესიონალი სამუშაო ძალის არ არსებობა“. გამომდინარე აქედან, დღეს საქართველოში

არსებულ სამხერხაოებში დასაქმებულ ადამიანებს სჭირდებათ კვალიფიციური კადრებით შევსება. შესაბამისად, დგას პროფესიული მომზადების პროგრამის „სახერხი ჩარხის მართვა“ შემუშავების საჭიროება.
პროგრამა შემუშავებულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია „GIZ” და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების “მწვანე ტრანსფორმაცია საქართველოში (ECO. Georgia) პროექტის ფარგლებში, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს საჭიროებების შესაბამისად.
დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სტანდარტები. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს და არ არის შეცდომაში შემყვანი. მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.
პროფესიული მომზადების პროგრამაზე - დაშვების წინაპირობაა: სრული ზოგადი განათლება, ჯანმრთელობის ცნობა ფორმა 100. აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამის ხანგრძლივობაა - 12 კვირა.
პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, კოლეჯს ელ. სისტემაში წარმოდგენილი ჰქონდა ხელშეკრულება ი/მ ს.ჭ-სთან, სადაც დაგეგმილი იყო წარმოდგენილი პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება, თუმცა დაწესებულებაში ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება შპს „თანასთან“, სადაც განხორციელდება წარმოდგენილი პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი.
ვიზიტის ფარგლებში დათვალიერებულ იქნა პარტნიორი ორგანიზაცია - შპს „თანა“, სადაც საწარმოო პროცესი სრულად ავტომატიზებულია; ნედლეულის დასამუშავებლად გამოყენებულია ლენტური და ცირკულარული სახერხი ჩარხები, რომლებსაც ემსახურება კვალიფიციური ოპერატორი; ავტომატიზებული ხაზი აღჭურვილია უსაფრთხოების თანამედროვე სისტემით, ასევე საწარმოს მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია შრომის უსაფრთხოება. პრაქტიკის ობიექტი, როგორც ხელშეკრულებაშია ასახული, უზრუნველყოფს 15 მსმენელის მიღებას. ხელშეკრულების მოქმედების ვადა - 5 წელი, საწარმო უზრუნველყოფს ერთდროულად 15 მსმენელის მიღებას. შექმნილი გარემო პირობები სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებში ასახული ინფორმაციით.
მეორე სტანდარტთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ელ. სისტემაში წარმოდგენილი ჰქონდა ერთი განმახორციელებელი პირის დოკუმენტაცია, თუმცა ვიზიტის დროს დადგინდა, რომ აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება მეორე განმახორციელებელი პირიც. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროგრამის განმახორციელებელ პირთა ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია დადასტურებულია შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა მათი კვალიფიციურობა დარგის მიმართულებით.
პროგრამის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით. სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური და ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.

რაც შეეხება მე-2 სტანდარტის 2.4 ქვესტანდარტს და მე-3 სტანდარტის ქვესტანდარტებს, შეფასდა ანალოგიურად, ვინაიდან აღნიშნული პროგრამაც წარმოდგენილია სსიპ - კოლეჯ „თეთნულდის“ მიერ.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები.

კომენტარი გააკეთა ნანი დალაქიშვილმა, მან განაცხადა, რომ ამ პროგრამების განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, განსაკუთრებით რეგიონებისთვის. საქართველოს ტყეები უნიკალურია და მათი შენახვა და მოვლა - პატრონობა ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის. რამდენიმე კოლეჯის მიერ იქნა წარმოდგენილი ამ მიმართულების პროგრამები, სსიპ - კოლეჯ „თეთნულდის“ მიერ წარმოდგენილი პროგრამები იყო ბოლო ნაკადი, ასევე აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო მზად არის დააფინანსოს აღნიშნული პროგრამების განხორციელება, ელოდება დღევანდელი საბჭოს გადაწყვეტილებებს, რომ განიხილოს მათი განაცხადი დაფინანსების თაობაზე, რაც ნამდვილად მისასალმებელია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „თეთნულდის“ „სახერხი ჩარხის მართვა“ /02335/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „თეთნულდს“ (ს/კ: 235891512) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სახერხი ჩარხის მართვა /02335/ **(დანართი 5).**

6. სსიპ - კოლეჯ „თეთნულდის“ „ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი“ /02338/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თემურ ჯეჯეიამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 25 ივნისის №751773 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა თემურ ჯეჯეიამ შეისწავლეს სსიპ - კოლეჯი ,,თეთნულდის“ პროფესიული მომზადების პროგრამის „ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი“ (ID 02338) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2025 წლის 3 ივლისს განახორციელეს ვიზიტი სსიპ - კოლეჯ „თეთნულდში“, მისამართზე, მესტია, ე. ფარჯიანის ქ № 25.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა ერთი რეკომენდაცია

ქვესტანდარტი 1.9 - პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას
დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის ელ. სისტემაში წარმოდგენილი ჰქონდა ხელშეკრულება სს ,,საქართველოს განახლებადი ენერგიის კომპანიასთან“ და შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტთან“, თუმცა ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა ხელშეკრულება სააქციო საზოგადოება სვანეთი ჰიდრო 2-თან, სადაც განხორციელდება პრაქტიკული კომპონენტი. პროგრამის დოკუმენტის ველში „პარტნიორები“ მითითებულია - სააქციო საზოგადოება სვანეთი ჰიდრო 2, თუმცა მე-4 კვირიდან 28-ე კვირის ჩათვლით სს ,,საქართველოს განახლებადი ენერგიის კომპანია“, რეკომენდებულია პროგრამის დოკუმენტში შესაბამისობაში მოყვანილ იქნას პარტნიორი ორგანიზაციის სახელწოდება.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 28 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, განხორციელების ადგილი - მესტია, ე. ფარჯიანის ქ № 25.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ საქართველოს ბიზნეს ასოციაციისა და საქართველოს განახლებადი ენერგიების განვითარების ასოციაციის წევრი კომპანიების გამოკითხვის შედეგად, გამოიკვეთა, რომ სექტორს გააჩნია კვალიფიციური კადრების მწვავე დეფიციტი. აღნიშნულ პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს ჰიდროელექტროსადგურის ოპერატორის პროგრამის არარსებობა, რომელიც საჭირო და აუცილებელი პროფესიაა თითოეული ჰიდროელექტროსადგურის გამართულად მუშაობისთვის, მით უფრო, დღევანდელ რეალობაში, როდესაც დარგი ვითარდება და ქვეყანაში ათეულობით ახალი ჰიდროელექტროსადგური შენდება და აშენდება, რასაც საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ მომზადებული ათწლიანი (2021 – 2031) გეგმაც ადასტურებს.
„ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორის“ პროგრამის დანერგვა და განხორციელება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ენერგეტიკული სექტორისა და მთლიანად, ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის, შესაბამისად, საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ, საქართველოს განახლებადი ენერგიების განვითარების

ასოციაციასთან ერთად, დაიწყო მუშაობა პროგრამის შემუშავებაზე და განაცხადი შეიტანა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს "დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის" პროგრამის საგრანტო კონკურსზე დაფინანსების მოსაპოვებლად. შედეგად, პროფესიული მომზადების პროგრამის შემუშავებისა და დანერგვისთვის მიიღო ფინანსური მხარდაჭერა გრანტის სახით.
კვალიფიციური საკადრო რესურსებით უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად დაეხმარება არამარტო ზემოხსენებულ კომპანიებს, რომლებიც წარმოადგენენ მსხვილ დამსაქმებლებს ენერგეტიკულ სექტორში, არამედ საქართველოს რეგიონებში წარმოდგენილ სხვა კომპანიების მფლობელობაში არსებულ ჰესებსაც.
დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა პირველი სტანდარტი, მეორე სტანდარტის 2.1, 2.2 და 2.3 ქვესტანდარტი და დასძინა, რომ მე-2 სტანდარტის 2.4 ქვესტანდარტი და მე-3 სტანდარტის ქვესტანდარტები, შეფასდა ანალოგიურად, ვინაიდან აღნიშნული პროგრამაც წარმოდგენილია სსიპ - კოლეჯ „თეთნულდის" მიერ.
დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარს და არ არის შეცდომაში შემყვანი, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

პროფესიული მომზადების პროგრამაზე - დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება, ასაკი - 18 წელი, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება. პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობაა 28 კვირა, კვირეული სასწავლო დატვირთვა - 10 საათი. მსმენელების შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. თეორიული კომპონენტი შეფასდება - გამოკითხვით (ტესტირება), ხოლო პრაქტიკული კომპონენტის შეფასება განხორციელდება - პრაქტიკული დავალება დაკვირვებით.
სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, პროგრამის თეორიული კომპონენტი განხორციელდება კოლეჯის სათანადო აღჭურვილობის მქონე სასწავლო აუდიტორიაში, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულია კოლეჯის პარტნიორი კომპანია სვანეთი ჰიდრო 2, რომელიც უზრუნველყოფს მსმენელების დაშვებას საკუთარ ბაზაზე პრაქტიკის გავლის მიზნით, მაღალი კომპეტენციის მქონე დარგის სპეციალისტების ზედამხედველობით.
ვიზიტის დროს მოხდა დაწესებულების სასწავლო გარემოების დათვალიერება, გადამოწმდა იქ არსებული მატერიალური რესურსი, შექმნილი გარემო პირობები სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.
ასევე განხორციელდა ვიზიტი პარტნიორ კომპანიაში, რომელიც უზრუნველყოფს მსმენელების დაშვებას საკუთარ ბაზაზე პრაქტიკის გავლის მიზნით, პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ ერთდროულად შესაძლებელია 5 მსმენელის მიღება, შესაბამისად სწავლება პრაქტიკის ობიექტზე განხორცილდება 3 ჯგუფად. მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, წარმოდგენილ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებში ასახული ინფორმაციით.
მეორე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით (3 განმახორციელებელი პირი), რაც დასტურდება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ინტერვიუირებით. პროგრამის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას, რაც დასტურდება სასწავლო გარემოების დათვალიერებით. სასწავლო რესურსი წარმოდგენილია მატერიალური

და ელექტრონული სახით, ფარავს ყველა სწავლის შედეგებს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე.
დარგის ექსპერტმა საბჭოს წინაშე წარმოადგინა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მისასალმებელია აღნიშნული პროგრამის განხილვა საბჭოზე, რომელიც ეხება ენერგეტიკის სფეროს. ენერგეტიკის სპეციალისტების მომზადება, კერძოდ ამ შემთხვევაში ოპერატორების, ძალიან მნიშვნელოვანია, გამომდინარე იქიდან, რომ ჰიდროელექტროსადგურების განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტულია, შესაბამისად აუცილებელია რომ ქვეყანას ყავდეს კვალიფიციური კადრები. მისასალმებელია, რომ დაწესებულება და ასევე ქვესადგური, რომელიც წარმოდგენილი იქნა საბჭოზე, კარგად არის აღჭურვილი და შესაბამისად პროგრამა წარმატებით განხორციელდება.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრ ნათია გვირჯიშვილს, რომელმაც მადლობა გადაუხადა ყველას, განსაკუთრებით კოლეჯის წარმომადგენლებს, დასძინა, რომ მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო და ქვეყნის ეკონომიკისთვის ძალიან დროული და ნამდვილად საინტერესო და საჭირო პროგრამებია წარმოდგენილი. მან მადლობა გადაუხადა ა(ა)იპ უნარების სააგენტოს და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია „GIZ"-ს ერთობლივი მუშაობისთვის და წარმატებები უსურვა დაწესებულებას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა კოლეჯის ხელმძღვანელს, ირმა ჯაფარიძეს, მან მადლიერება გამოხატა პირველ რიგში საბჭოს მიმართ, ასევე მადლობა გადაუხადა ექსპერტებს მათი პროფესიონალიზმისათვის, რომელიც დეტალებზე იყო ორიენტირებული და ზოგადად მათი პოზიტიური დამოკიდებულებისთვის, ვინაიდან დამოკიდებულება ძალიან მნიშვნელოვანი და ღირებულია კოლეჯისთვის. მან დასძინა, რომ შეფასებები და რეკომენდაციები მიიღეს, როგორც განვითარების გზამკვლევი და კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა დამოკიდებულებისთვის, მხარდაჭერისთვის, ასეთი შესაძლებლობების მიცემისთვის, რომელიც ძალიან წაადგება მაღალმთიან რეგიონს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „თეთნულდის" „ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი" /02338/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „თეთნულდს" (ს/კ: 235891512) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული

მომზადების პროგრამა - ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი /02338/ **(დანართი 6).**

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა 13:10 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
გამყრელიძე გიორგი

პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს სხდომის მდივანი
სანაია სალომე

ელექტრონული
ფურცელი
ელექტრონულად

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02019	ხარაჩოს უსაფრთხოდ აწყობა, დემონტაჟი და ინსპექტირება	პროფესიული მომზადება	მეოთხე	6	ქართული	26	ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. 14ა

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02310	Front End დეველოპმენტი – React	პროფესიული მომზადება	მეოთხე	13	ქართული	30	ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. №24

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02337	ხე-ტყის დამზადება	პროფესიული მომზადება	მეოთხე	8	ქართული	15	მესტია, ე. ფარჯიანის ქ. №25

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02336	ტყის დაცვისა და ტექნიკური სამუშაოების წარმოება	პროფესიული მომზადება	მეოთხე	12	ქართული	15	მესტია, ე. ფარჯიანის ქ. №25

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02335	სახერხი ჩარხის მართვა	პროფესიული მომზადება	მეოთხე	12	ქართული	15	მესტია, ე. ფარჯიანის ქ. №25

დანართი 6

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02338	ჰიდროელექტრო სადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი	პროფესიული მომზადება	მესამე	28	ქართული	15	მესტია, ე. ფარჯიანის ქ. №25